

საქართველოში დაცული ცვილის ლილვაკების კოლექცია

ფონოგრაფის ცვილის ლილვაკების ჩანაწერებმა თავის დროზე დიდი სამსახური გაუწიეს ხმოვანი სამყაროს შემსწავლელებს. ქართული ხალხური მრავალხმიანობა პირველად მსოფლიომ სწორედ გრამოფონისა და ფონოგრაფის ჩანაწერებით გაიცნო.

ჩემი გამოსვლის მიზანია, გაგაცნოთ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში გასულ შემოდგომაზე განხორციელებული ცვილის ლილვაკების ციფრულ მატარებელზე გადატანის ერთი პროექტი, რომელსაც, დარწმუნებული ვარ, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართული ტრადიციული სასიმღერო კულტურის შესწავლის თვალსაზრისით.

პროექტის წინასტორია

კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების კათედრაზე, როგორც წარსულის ძვირფასი რელიკვია, დიდი ხანია ინახება ცვილის ლილვაკები და მწყობრიდან გამოსული ორი ფონოგრაფი, რომელთა მდგომარეობა გამორიცხავდა ამ ლილვაკების აჟღერების შესაძლებლობას. ამ საქმის უპერსპექტივობის გამო, გასულ შემოდგომამდე ზუსტად ისიც არ იყო ცნობილი, სულ რამდენი ლილვაკი არსებობდა საქართველოში, სად და ვისთან ინახებოდა ისინი.

მიუხედავად თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული მუსიკალური ფოლკლორის კათედრის გამგის, ან გარდაცვლილი კუკური ქოხონელიძისა და ბ-ნ ანზორ ერქომაიშვილის მცდელობისა, სახსრების უქონლობის გამო, ქართველი ფიზიკოსების დახმარებით ლილვაკების ასაჟღერებელი აპარატის შექმნა ვერ მოხერხდა. როცა ყველა იმედი გადაიწურა, ტრადიციული მრავალხმიანობის ცენტრის ინიციატივით კონსერვატორიამ დახმარებისათვის ვენის ფონოგრამარქივს მიმართა. ეს ავტორიტეტული დაწესებულება მაშინვე გამოეხმაურა ჩვენს თხოვნას და 2005 წლის ივნისში თავისი სპეციალისტი ბატონი ფრანც ლეხლაიტნერი მოავლინა თბილისში საქმის ვითარების შესასწავლად. საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით რამდენიმე თვის შემდეგ, 2005 წლის ნოემბერში ბ-ნი ლეხლაიტნერი კვლავ ეწვია თბილისს და თავისი აპარატით ლილვაკებზე ჩანერილი მასალა ციფრულ მატარებელზე გადაიტანა. ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო ცენტრმა ამ დროისათვის კონსერვატორიაში თავი მოუყარა საქართველოში არსებულ ლილვაკებს სხვადასხვა კოლექციებიდან. ასე შეგროვდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის, საქართველოს სახელმწიფო არქივის, საქართველოს თეატრის, კინოსა და მუსიკის მუზეუმის, საქართველოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის, საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და ბათუმის კულტური-

სა და ხელოვნების მუზეუმის კოლექციებიდან 528 ლილვაკი, თუმცა ვვარაუდობ, რომ ცვილის ლილვაკები შეიძლება დაცული იყოს სხვა, ჩვენთვის ჯერ ხელმიუწვდომელ კერძო კოლექციებშიც.

ლილვაკებზე მასალის ჩანერის ხარისხის, მისი სიძველისა და ლილვაკების შენახვის განსხვავებული პირობების გამო, სამწუხაროდ, გადანერილი მასალის ჟღერადობის ხარისხიც განსხვავებულია.

პროექტი სახელწოდებით „საქართველოში დაცული ცვილის ლილვაკების კოლექცია“ განხორციელდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტმკსც-ის მიერ ვენის ფონოგრამარქივისა და საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიერ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროგრამით.

ცოტა რამ საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული ლილვაკების კოლექციის შესახებ

ლილვაკების საზღვარგარეთული კოლექციების შესახებ არსებობს ანზორ ერქომაიშვილის (1977, 1980, 2007), ერნსტ ემსჰაიმერის (1989), სიუზან ციგლერის (1989, 2003), ნონა ლომიძის (2005) პუბლიკაციები. ამ საქმეში განსაკუთრებული წვლილი შეაქვს თბილისის ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმებსაც. უკანასკნელი ორი მოხსენება სწორედ I და II სიმპოზიუმებზე იყო წარმოდგენილი. ბერლინის ფონოგრამების არქივის ისტორიულ ჩანაწერებში დაცულ კოლექციას ეძღვნებოდა გერმანელი მეცნიერის სიუზან ციგლერის მოხსენება 2002 წელს, 2004 წელს კი ვენაში მცხოვრებმა ქართველმა მკვლევარმა ნონა ლომიძემ ვენის ფონოგრამარქივის ქართული სიმღერების იშვიათი ჩანაწერები გაგვაცნო.

გამონაკლისი არც წლევანდელი სიმპოზიუმია, სადაც ბერლინისა და ვენის ფონოგრამარქივების ქართული ჩანაწერების თემის ახალ ასპექტებს ეძღვნება ამავე მეცნიერთა მოხსენებები.

ამრიგად, ჩვენს ხელთ არსებული ცნობების მიხედვით, საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებობს:

ბერლინის ფონოგრამარქივის კოლექცია, რომელშიც, ციგლერის მიხედვით, 109 ლილვაკზე ქართული მუსიკის ნიმუშებია. **პირველ კოლექციას** შეადგენს **ადოლფ დირის** მიერ 1909-13 წლებში საქართველოში ექსპედიციების დროს ჩანერილი 38 ლილვაკი, საიდანაც გარკვეულ ნაწილზე აფხაზური, ლაზური, მეგრული, სვანური, ოსური სიმღერებია (დანარჩენზე თათრებისა და თურქების ხალხური მუსიკალური შემოქმედებაა) წარმოდგენილი, ხოლო 4 ლილვაკზე, როგორც ციგლერი აღნიშნავს, — მრავალხმიანი სიმღერები: აფხაზური, ოსური და სვანური. მეორე კოლექციაში, რომელიც **გეორგ შუნემანმა** სამხედრო ტყვეებისგან ჩანერა 1915-18 წლებში, 71 ლილვაკია „მუსიკით საქართველოდან“, ამათგან 38 ლილვაკზე სოლო სიმღერებია ჩანერილი, 2-ზე — ორი მამაკაცის მღერა, 7-ზე — მამაკაცების ტრიო სამეგრელოდან, ხოლო 19-ზე — „გურული გუნდი“. დამატებითი ინფორმაციის გარეშეა 5 ლილვაკი. შე-

საძლოა, სწორედ მათში უნდა ვეძიოთ ის განსხვავება, რომელსაც ვხვდებით თავად შუნემანისა და ციგლერის მიერ აღნუსხულ რაოდენობაში (შესაბამისად, 69 და 71) (ციგლერი, 2009:523/530).

ვენის ფონოგრამარქივის კოლექციაში ინახება 38 ცვილის ლილვაკი **ადოლფ დირის** ბერლინის კოლექციიდან და **რობერტ ლახის** ცვილის 49 ფირფიტა, ჩანერილი 1916 წელს გერმანულ სამხედრო ტყვეთა ბანაკში. სამწუხაროდ, მომხსენებელი მხოლოდ ზოგადი ინფორმაციით შემოიფარგლა და ლახის კოლექციაზე უფრო დეტალური ინფორმაცია არ გაგვაჩნია.

სანკტ-პეტერბურგის რუსული ლიტერატურის ინსტიტუტის (პუშკინის სახლი) კოლექცია, საიდანაც მაგნიტოფირზე გადაწერილი სიმღერები (ანუ პეტერბურგის კოლექციის მაგნიტური ასლები) ინახება საქართველოს სახელმწიფო არქივში. უნდა ვივარაუდოთ, რომ სახელმწიფო არქივის ფონდი მეტ-ნაკლებად სრულ წარმოდგენას გვაძლევს საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულ ყველაზე მდიდარ კოლექციაზე. 1970-იან წლებში იგი ცნობილ ლოტბარსა და სახელმწიფო არქივის ფონოგანყოფილების გამგეს ვლადიმერ ბაბილუას გადმოუწერია. მოგვიანებით, ლილვაკების ამ კოლექციას, პუშკინის სახლში გრამოფონზე ჩანერილი ქართული სიმღერების მატრიცების ძიებისას, შემთხვევით წააწყდა ანზორ ერქომაიშვილი (ერქომაიშვილი, 1980).

ამრიგად, არსებობს სანკტ-პეტერბურგის კოლექციის ორი აღწერილობა – ერთი: სახელმწიფო არქივის სარეგისტრაციო ჟურნალის სახით, სადაც გატარებულია თითოეული ლილვაკი და ანზორ ერქომაიშვილის მიერ გამოცემული კატალოგი, სადაც შესულია ლილვაკებზე ჩანერილი თითოეული სიმღერა. მათი შედარება გარკვეულ ცვლილებებს იძლევა. როგორც ჩანს, ერქომაიშვილის კატალოგი უფრო სრულია, რადგან იგი ლენინგრადის სანკტ-პეტერბურგის) ლილვაკების კოლექციიდან თავად მის მიერ გადამწერილ მასალას ეყრდნობა. ეს გვაფიქრებინებს, რომ ვლადიმერ ბაბილუამ, თავის დროზე, შესაძლოა, ლილვაკებიდან შერჩევით გადმოწერა სიმღერები.

ამრიგად, საბედნიეროდ, ბერლინისა და ვენის კოლექციებიდან განსხვავებით, სანკტ-პეტერბურგის კოლექციის ლილვაკებზე ჩანერილი მასალა ხელმისაწვდომია ქართველ მკვლევართათვის.

ეს კოლექცია აერთიანებს: **ნიკოლოზ დერჟავინის** (14 ლილვაკი, 1910 წ., გურია), **იოსებ შილინგერის** (28 ლილვაკი, 1927 წ., დუშეთის რაიონი და ბათუმი), **ევგენი გიპიუსის** (1930 და 1935 წ.წ., ლენინგრადი) ჩანაწერებს. გარდა ამისა, მასში შედის **შალვა ასლანიშვილის** (38 ლილვაკი, 1928წ., რაჭა), **იოსებ მეგრელიძისა** (6 ლილვაკი, 1932 წ., გურია) და **გრიგოლ ჩხიკვაძის** (43 ლილვაკი, 1933 წ., გურია და 1934 წ., ფასანაური) საექსპედიციო ჩანაწერები.

ამ კოლექციების გარდა სახელმწიფო არქივის სარეგისტრაციო ჟურნალში შეტანილია და, შესაბამისად, არქივში ინახება კიდევ ერთი კოლექციის მაგნიტური ასლი, რომელიც გატარებულია, როგორც **შუნემანისა** (16 ლილვაკი, — გურული, ქალაქური და ერთი მეგრული სიმღე-

რა). არავინ იცის, როგორ მოხვდა იგი საქართველოში, სავარაუდოა, — ისევ პეტერბურგიდან. ეს საკითხი სპეციალურ კვლევას იმსახურებს, მაგრამ ადვილი შესაძლებელია, მაგნიტური ჩანაწერები მართლაც ინახავდნენ 1916 წელს შუნემანის მიერ ჩანერილი ტყვეების ხმებს. ამას ის დამთხვევებიც გვაფიქრებინებს, სარეგისტრაციო ჟურნალსა და ციგლერის ინფორმაციაში რომ გვხვდება.

ამრიგად, საქართველოს ფარგლებს გარეთ სულ 302 ცვილის ლილვაკი და 49 ცვილის ფირფიტაა შემორჩენილი.

ქართველი მეცნიერების ფონოგრაფული ჩანაწერები

XX საუკუნის დასაწყისიდან 1952 წლამდე საქართველოში ხალხური სიმღერებს ფონოგრაფით ინერდნენ. ქართული ხალხური მუსიკის ჩანერის ისტორია ქართულ ეთნომუსიკოლოგიაში ნაკლებადაა შესწავლილი. უკანასკნელ დრომდე გაცილებით მეტ ინფორმაციას ვფლობდით საქართველოს გარეთ არსებულ კოლექციებზე, ვიდრე საკუთრივ საქართველოში არსებულ მასალაზე.

ამ თემით, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, საქართველოში პირველად ანზორ ერქომაიშვილი დაინტერესდა (1977), ორიოდ წლის შემდეგ მას შეეხო გრიგოლ ჩხიკვაძე (1979, 1987).

არსებული ცნობების მიხედვით, ქართველ მუსიკოსთაგან პირველმა ფონოგრაფს დიმიტრი არაყიშვილმა მიმართა 1901 წელს, თუმცა ხალხური სიმღერების ჩანერა საქართველოში მანამ დაიწყო, სანამ ფონოგრაფს გამოიგონებდნენ. 1863 წელს დავით ჩიჯავაძის მიერ ჩანერილი საეკლესიო საგალობლების პირველი ხელნაწერი კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება. ბავშვებისათვის მიხეილ მაჭავარიანის მიერ გამოცემული ხალხური სიმღერების პირველი კრებული „სამშობლო ხმები“ 1878 წლითაა დათარიღებული. ეს ის დროა — 1870-1900 წლები, როცა ხალხური სიმღერების ჩანერა უმარტივესი, უფრო ზუსტად, ურთულესი გზით — სმენით აღქმული მუსიკის ქალაქზე გადატანით ხორციელდებოდა. ამიტომ ქართველ და არაქართველ მუსიკოსებს ბევრი სირთულეების დაძლევა უხდებოდათ, სანამ ფონოგრაფი გაჩნდებოდა, შემდეგ კი ფონოგრაფის ეპოქა დადგა. დიმიტრი არაყიშვილს 1900-1915-იან წლებში მის მიერ ჩანერილი მასალა ნოტებზე გადაჰქონდა და მოსკოვის უნივერსიტეტის მუსიკალურ-ეთნოგრაფიული კომისიის შრომებში აქვეყნებდა. 1903 წლიდან მოსკოვიდან დაბრუნებულმა ზაქარია ფალიაშვილმა მოიარა ფონოგრაფით მთელი საქართველო და მის მიერ ჩანერილ და შემდეგ ნოტებზე გადატანილ ნიმუშებს სანოტო კრებულებში მოუყარა თავი.

ედისონის ფონოგრაფს ხმების ჩასანერად ევროპასა და რუსეთში XX საუკუნის 50-იან წლებამდე იყენებდნენ. ჩვენს ხელთ არსებული ყველაზე გვიანი საექსპედიციო მასალა 1952 წლითაა დათარიღებული. სამწუხაროდ, ეს მასალაც არ იძლევა სრულ წარმოდგენას ქართველი მეცნიერების მიერ ფონოგრაფით გაჩეული სამუშაოების მასშტაბების შესახებ. გამოვლენილი კოლექციების თანახმად, ფონოგრაფით მუშაობდნენ

შალვა მშველიძე, შალვა ასლანიშვილი, იოსებ მეგრელიძე, გრიგოლ ჩხიკვაძე, თამარ მამალაძე, სერგი ჟღენტი, თუმცა ძალიან ცოტა ან არაფერია ცნობილი ამ საქმეში სხვა ქართველი მუსიკოსების – კომპოზიტორებისა და მუსიკისმცოდნეების ღვაწლის შესახებ. აღნიშნულზე გარკვეულ, თუმცა არცთუ სისტემატიზებულ ინფორმაციას ვხვდებით გ. ჩხიკვაძის გამოუქვეყნებელ ნაშრომებში, რომლებიც კონსერვატორიის ბიბლიოთეკაში (ხალხური შემოქმედების ლაბორატორიის არქივში) ინახება. ირკვევა, რომ გასაბჭოების შემდეგ, 1927 წლიდან ინტენსიურად იწყება ფონოგრაფით ხალხური მუსიკალური შემოქმედების ნიმუშების ჩანერა საქართველოს ყველა კუთხეში. მაგალითად, 1927 წელს, კონსერვატორიის დირექტორის მოადგილის ლარისა ქუთათელაძის ხელმძღვანელობით სტუდენტებმა – კომპოზიტორმა შალვა მშველიძემ და მუსიკისმცოდნე შალვა ასლანიშვილმა მოიარეს მთელი სვანეთი — სოფლები ბერო, ფარი, კალა, ლენჯერი, ლახამურა, უშგული, ლატალი, ეცერი, მესტია. ასე მოიარეს ქართველმა კომპოზიტორებმა და ფოლკლორისტებმა 1920-40-იან წლებში ხევსურეთი, მთიულეთი, თუშეთი, ხევი, გუდამაყარი, კახეთი, ქართლი, აჭარა, მესხეთი, იმერეთი. ჩხიკვაძე აღნიშნავს აგრეთვე 1927-1934 წლებში საკავშირო ანთროპოლოგიის, ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის ინსტიტუტის მიერ, გიპიუსი-ევალდიკუშნარიოვის (1927), შილინგერის (1927), ასლანიშვილის (1928), გიპიუსის (1930), მეგრელიძის (1932), ჩხიკვაძე-ელ.ვირსალაძე-შ.ძიდიგურის (1933) და ჩხიკვაძის (1934) მონაწილეობით ორგანიზებულ ექსპედიციებს საქართველოში და ამატებს, რომ აქვე (ამჟამინდელ სანკტ-პეტერბურგში) ინახებაო ფონოგრაფის 196 ლილვალზე ჩანერილი გურული, რაჭული, ხევსურული, მოხეური, მთიულური, სიმღერები და საკრავიერი მუსიკა. როგორც ჩანს, ეს ის ლილვაკებია, რომელიც ამჟამად პუშკინის სახლის კოლექციაში ინახება და რომლის ასლები საქართველოს სახელმწიფო არქივშია დაცული.

სავარაუდოა, რომ ლილვაკებზე ჩანერილი სიმღერების ნოტებზე გადატანის შემდეგ, ლილვაკები ნადგურდებოდა. ასეთი დასკვნის საფუძველს კომპოზიტორ შალვა მშველიძის მიერ საექსპედიციო დღიურში გაკეთებული შენიშვნა იძლევა – სიმღერა გავშიფრე და ლილვაკი გავტეხეო. კომპოზიტორის ქალიშვილის ქ-ნ ნანა მშველიძის გადმოცემით, ბ-ნ შალვა ამ ფაქტს მარტივად ხსნიდა – მის ხელთ არსებული უხარისხო ფონოგრაფი ლილვაკის მხოლოდ სამჯერ აჟღერების შესაძლებლობას იძლეოდა და შემდგომ გამოუყენებელი ხდებოდა, რის გამოც მისი შენახვა, იმდროინდელი გადასახედიდან, აზრს კარგავდა. ამ თვალსაზრისის უმართებულობა, როგორც ბერლინისა და ვენის ფონოგრაფიკის მაგალითი გვიჩვენებს, დღეს ნათელია, თუმცა ძნელია, უსაყვედურო ქართველ მუსიკოსებს – რატომ ვერ განჭვრიტეს ტექნიკური პროგრესი და ვერ გაითვალისწინეს, რომ ნახევარი საუკუნის შემდეგ ბგერის ნებისმიერი წყაროს აჟღერება გახდებოდა შესაძლებელი.

ახლა გაგაცნობთ ქართველ მეცნიერთა ფონოგრაფული ჩანაწერების ყველაზე დიდ კოლექციას, რომელიც საქართველოში მოვიძიეთ და

ვენის ფონოგრამარეკის მხარდაჭერითა და ჩვენი პროექტის წყალობით ციფრულ მატარებელზე იქნა გადატანილი.

ცვილის ლილვაკების ქართული კოლექცია

იგი 523 ცვილის ლილვაკისგან შედგება, რომელთაგან 479 — კომპიუტერული დამუშავების გარეშეა გადატანილი ლაზერულ დისკებზე, ცხადია, მეტ-ნაკლები ხარისხით. 44 ლილვაკი დაზიანებული, გატეხილი ან ცარიელი აღმოჩნდა.

ბ-ნ ლეხლაიტნერის განმარტებით, რესტავრაციის შემდეგ შესაძლებელი იქნება მათი გარკვეული ნაწილის აჟღერებაც.

დედნები დაუბრუნდათ მფლობელებს თითო გადანერილ პირთან ერთად. ერთი პირი გადაეცა ვენის ფონოგრამარეკის, რომელთანაც საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ უკვე გააფორმა შეთანხმება მფლობელთა უფლებების დაცვის შესახებ.

კოლექციების მიხედვით, სურათი ასე გამოიყურება:

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების ლაბორატორიის ფონდი, ჩამწერი უცნობია. არსებული 55 ლილვაკიდან, გადანერილია 43 (12 დაზიანებული).

ჩანერილია შემდეგი კუთხეები: ხევსურეთი (10), მთა-თუშეთი (1), მესხეთ-ჯავახეთი (11), კახეთი (8, 1928 წ.), სამეგრელო (6, 1950 წ.), გურია (1), სვანეთი (5, 1 - 1928წ. და 4 — 1950წ.); 1 ლილვაკზე ჩანერილი მასალის შესახებ არავითარი ინფორმაცია არ არსებობს.

კინოს, თეატრის, მუსიკისა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის ფონდი, ჩამწერები: დიმიტრი არაყიშვილი, შალვა მშველიძე.

არსებული 199 ლილვაკიდან გადანერილია 191, მათ შორის არაყიშვილის კოლექციიდან — 11 და მშველიძის კოლექციიდან — 179 (დანარჩენი 7 ლილვაკი დაზიანებული, 1 — ცარიელი აღმოჩნდა).

დიმიტრი არაყიშვილის კოლექცია, სულ 11 ლილვაკი, ჩანერილი 1923 წელს; არ არის ინფორმაცია შემსრულებლებზე; ჩანერილია ოსური სიმღერები როკის რაიონში.

შალვა მშველიძის კოლექციიდან გადანერილ 180 ლილვაკზე წარმოდგენილია საქართველოს შემდეგი კუთხეები: თიანეთი (17), ხევსურეთი (7), ფშავი (5), კახეთი (40, 1929 წ.), გურია (69, 1931 წ.), აჭარა (18, 1932 წ.), მესხეთ-ჯავახეთი (22, 1933 წ.), სვანეთი (1). მშველიძის კოლექციაზე მონაცემებს ავსებს მისი საექსპედიციო დღიურები, რომლებიც, ყველაფერთან ერთად, საინტერესო მასალას იძლევიან იმ დროის ყოფის სურათის შესაქმნელად.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ფონდი, ჩამწერები: შ. ასლანიშვილი, თ.მამალაძე, ს.ჟღენტი.

შალვა ასლანიშვილის კოლექცია, სულ 97 ლილვაკი, აქედან გადანერილია 87 (10 ლილვაკი დაზიანებული). ჩანერილია საქართველოს სხვადასხვა კუთხეები: სვანეთი (16, 1946წ.), მთა-თუშეთი (8, 1947წ.), ფშავ-ხევსურეთი (19, 1948 წ.), ხევი (16, 1949წ.), მთიულეთი (6, 1949წ.), გუდამაყარი (3, 1949წ.), რაჭა (19, 1949 წ.).

თამარ მამალაძის კოლექცია, სულ 56 ლილვაკი, აქედან გადანერილია 54, (დაზიანებულია 2 ლილვაკი). ფონდში შესულია კახეთის ექსპედიციებში 1950 (28 ლილვაკი) და 1951 (26 ლილვაკი) წლებში ჩანერილი მასალა.

სერგი ჟღენტის კოლექცია შეიცავს სულ 4 ლილვაკს ხევისურული ტირილებით, რომლებზეც ჩანერის ადგილად ნ. მარის სახელობის ინსტიტუტია (ენიმკი) აღნიშნული, ხოლო თარიღად — 1940 წელი.

ამავე კოლექციაშია **უცნობი ჩამწერის** მიერ 1946 წელს ალავერდობაზე, კახეთში ჩანერილი 3 ლილვაკი, რომელთაგან 1 დაზიანებულია.

საქართველოს სახელმწიფო არქივების მართვისა და საქმის წარმოების დეპარტამენტის კინოფოტო-დოკუმენტების ცენტრალური არქივის ფონდი, ჩამწერი უცნობია.

სულ 65 ლილვაკიდან გადანერილია 56 (9 — დაზიანებული ან ცარიელია). არქივის ფონდში წარმოდგენილია გურია (10) და კახეთი (10). ერთ ლილვაკზე ჩანერილია ცნობილი ქალაქური სიმღერა „სულიკო“ მისი ავტორის — ვარინკა წერეთლის შესრულებით, 33 ლილვაკზე კი ჩანერილია სხვადასხვა ტიპის მუსიკა — საოპერო და ინსტრუმენტული ფრაგმენტები, საცეკვაო მუსიკა და ა.შ.

საქართველოს სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფონდი, ჩამწერი უცნობია. არსებული 17 ლილვაკიდან გადანერილია 15 (2 დაზიანებულია), რომელზეც ქართლში ჩანერილი სიმღერებია წარმოდგენილი. ჩანერის თარიღი — 1934 წელი — მხოლოდ ერთ ლილვაკზეა მითითებული.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელოვნებისა და კულტურის მუზეუმის კოლექცია, ჩამწერი უცნობია.

ჩანაწერებში აღნიშნულია: ნოტებზე გადატანილია ალექსანდრის მიერ, რაც, სავარაუდოა, ნიშნავს იმასაც, რომ ჩანერაც მის მიერ არის განხორციელებული.

30 ლილვაკიდან გადანერილი 27 (3 ცარიელია) ლილვაკზე წარმოდგენილია მეგრული (19, 1929წ.), აჭარული (6, 1934წ.) სიმღერები და დასაკრავები. გვხვდება 2 ლილვაკი კლასიკური მუსიკის ფრაგმენტებით.

როგორც ვხედავთ, ცვილის ლილვაკების ახალი კოლექცია კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ 1920-50-იან წლებში ქართველ მუსიკოსებს, ფაქტობრივად, არ დაუტოვებიათ საქართველოს თითქმის არც ერთი მხარე, ფონოგრაფით მოუვლიათ თითქმის ყველა კუთხე-კუნჭული, ჩაუნერიათ ყველაფერი, დაწყებული უმარტივესი ნიმუშებიდან, დამთავრებული ურთულესი პოლიფონიური სიმღერებით და შესანიშნავად აუსახავთ ეროვნული მუსიკალური აზროვნების მთელი დიალექტური მრავალფეროვნება.

პროექტის სამომავლო პერსპექტივები

ცვილის ლილვაკების ქართული კოლექციის აჟღერებამ, ფაქტობრივად, სათავე უნდა დაუდოს ქართული ხალხური სიმღერის ფონოჩანაწერების ისტორიის სისტემატურ შესწავლას. ეს იქნება ბ-ნ ანზორ ერქომაიშვილის საქმის ახალ საფეხურზე გაგრძელება, რადგან ასეთი ხასიათის სამეცნიერო კვლევის გარეშე წარმოუდგენელია ჩვენი ეროვნული

საგანძურის სრულფასოვანი ელექტრონული მონაცემთა ბაზის შექმნა. ეს კი თანამედროვეობის მოთხოვნაა. XXI საუკუნე ინფორმატიკის საუკუნეა. არც ისაა შემთხვევითი, რომ ამ უკანასკნელ ხანს მთელს მსოფლიოში ასე გაძლიერდა ინტერესი საარქივო აუდიოჩანაწერებისადმი და არც ის, რომ იუნესკომ განსაკუთრებით გააქტიურა თავისი საქმიანობა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ინვენტარიზაციის მიმართულებით.

საქართველოში ხალხური სიმღერის არაერთი გამოცემული კრებული, უამრავი ხელნაწერი და უმდიდრესი აუდიომასალა არსებობს. ისინი ინახავენ ქართული ტრადიციული მუსიკის მთელს იმ მრავალფეროვნებას, რომელიც XX საუკუნემდე მოიტანა ქართველმა ხალხმა. ერთია მისი ცოცხალ პრაქტიკაში შენარჩუნება, მეორე და, შესაძლოა, ყველაზე მთავარი, როგორც პირველის რეალიზების საშუალება, ამ მრავალფეროვნების გამოვლენა, მეცნიერული შესწავლა და საზოგადოებისათვის მონოღებაა.

ამ თვალსაზრისით, ძალიან მნიშვნელოვანია ლილვაკებზე ჩანერილი აუდიო მასალის სისტემატიზაცია, მისი ნოტებზე გადაღება, შედარება უკვე გამოცემული სანოტო კრებულების შესაბამის ნიმუშებთან თუ მაგნიტურ ფირებზე ჩანერილ საექსპედიციო მასალასთან. სრულყოფილ მონაცემთა ბაზაში უნდა იყოს ინფორმაცია არა მხოლოდ ამა თუ იმ სიმღერაზე, არამედ — მის სხვადასხვა ვარიანტზეც და ამ ვარიანტების ადგილსამყოფელზეც. გარდა ამისა, ერთსა და იმავე კუთხეში სხვადასხვა დროს ჩანერილი ერთი და იგივე ნიმუშების შედარება, შესანიშნავ მასალას იძლევა ეთნომუსიკოლოგიური კვლევის სოციალური ასპექტების გასავითარებლად, ფოლკლორისა და, შესაბამისად, საზოგადოებრივი ყოფის სოციოდინამიკაზე დაკვირვებისათვის.

მუშაობა ამ მიმართულებით დაწყებულია — საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო ცენტრი გამოსაცემად ამზადებს ლილვაკების ქართული კოლექციის სრულ კატალოგსა და ლაზერულ დისკებს!

1989 წელს ემსჰაიმერი წერდა იმის შესახებ, როგორ არაადეკვატურად აღიქვამდნენ გერმანელი მოგზაურები XVIII-XIX საუკუნეებში ქართულ მრავალხმიანობას, სიუზან ციგლერი კი აღნიშნავდა — ჩვენი წარმოდგენები კავკასიურ (ქართულ) მუსიკაზე თანდათან თავისუფლდებაო ცრურწმენისაგან. ამის საფუძველს იგი ქართული მუსიკის საარქივო ჩანაწერების შესწავლაში ხედავდა. მჯერა, რომ ცვილის ლილვაკების ახალი კოლექციის გამომზეურება კიდევ უფრო შეწყობს ხელს მსოფლიოს ეთნომუსიკოლოგიურ ნრეებში მის შესახებ ადეკვატური წარმოდგენის დამკვიდრებას.

შენიშვნა

¹ „საქართველოში დაცული ფონოგრაფის ლილვაკების კატალოგი“ და აუდიო მასალის ნაწილი – 4 დისკი გამოვიდა 2006, ხოლო მომდევნო 6 დისკი — 2007 წელს. 2008 წელს დაგეგმილია დარჩენილი 6 დისკის გამოცემაც.

დამონმებული ლიტერატურა

ემსჰაიმერი, ერნსტ. (1989). კავკასიელთა ხალხური მუსიკა გერმანელ მოგზაურთა ჩანაწერებში. *საბჭოთა ხელოვნება*, 1:121-124.

ერქომაიშვილი, ანზორ. (1977). ძველი გურული მომღერლების კვალდაკვალ. *საბჭოთა ხელოვნება*, 12:96-110.

ერქომაიშვილი, ანზორ. (1980). ძველი სიმღერების კვალდაკვალ. *საბჭოთა ხელოვნება*, 4:63-74.

ერქომაიშვილი, ანზორ. (2007). *ქართული ფონოჩანაწერები უცხოეთში*. თბილისი: ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრი.

ლობანოვი, მიხეილ. (2005). ერნსტ ემსჰაიმერი – კავკასიური ფოლკლორის მოამაგე. *თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის ბიულეტენი*, 2.:23-27.

ლომიძე, ნონა. (2005). ვენის ფონოგრამ-არქივი და ქართული სიმღერების იშვიათი ჩანაწერები. კრებულში: *ტრადიციული მრავალხმიანობის მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმი. მოხსენებები. რედ. რუსუდან ნურნუმია*, იოსებ ჟორდანიას (გვ.513-515). თბილისი: თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი.

ჩხიკვაძე, გრიგოლ. (1979). მუსიკალურ ფოლკლორული მუშაობა საქართველოში. ხელნაწერი. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ბიბლიოთეკა, № 3184.

ჩხიკვაძე, გრიგოლ. (1981). მუსიკალურ ფოლკლორული მუშაობა საქართველოში. ხელნაწერი. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ბიბლიოთეკა, № 3446.

ციგლერი, სუზან. (1989). კავკასიური (ქართული) მრავალხმიანობა გერმანულენოვანი სამუსიკისმცოდნეო ლიტერატურის სარკეში. *საბჭოთა ხელოვნება*, 1:125-131.

ციგლერი, სუზან. (2003). ხმები წარსულიდან — კავკასიური მრავალხმიანობა ბერლინის ფონოგრამების არქივის ისტორიულ ხმოვან ჩანაწერებში. კრებულში: *ტრადიციული მრავალხმიანობის პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმი. მოხსენებები. რედ. რუსუდან ნურნუმია*, იოსებ ჟორდანიას. (გვ. 521-527). თბილისი: თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი.